



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თივის მოედანი

თივის მოედანი, ზის მოედანი, შეიქმნა XIX ს. 20-30-იან წლებში თბილისში, მტკვრის მარცხ. სანაპიროზე მდებარე რიყის ტერიტორიის უკიდურეს სამხრ.-აღმ. ნაწილში, ღვინის (სირაჯხანის) აღმართის და ტიკის შესახვევის ჩრდ.-დას-ით, ზურაბაშვილის, მირზოევის და სხვ. ქარვასლების მახლობლად. მოედანმა სახელი მიიღო რიყესა და მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე (ავლაბრის ახლანდ. მეტეხის, ხიდთან) არსებულ სავაჭრო-სასტუმრო სახლებში (ქარვასლებში) უცხოეთიდან ქარავნებით ჩამოსული ვაჭრების თუ საქმოსნების სასაპალნე და შესაბამელი პირუტყვისათვის (აქლემი, ცხენი, ხარი, სახედარი) საგანგებოდ შერჩეული ადგილის გამო, სადაც ღამის სათევად გაჩერებულ პირუტყვს უყრიდნენ თივას, ბგეს, შვრიას და ა. შ.

ლიტ.: კ ვ ი რ კ ვ ე ლ ი ა თ., ძველთბილისური დასახელებანი, თბ., 1985.

თ. ბერიძე
